

ზუგდიდის მუნიციპალიტეტი

საკონკურსო დოკუმენტაცია

კონკურსის საშუალებით
საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის
შედგენის მომსახურების შესყიდვაზე

ქ. ზუგდიდი, 2015 წელი

1. ინსტრუქცია კონკურსში მონაწილეთათვის

- 1.1.** კონკურსის საშუალებით შესყიდვის პროცედურები ხორციელდება „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის 10^ე მუხლის მე-2 პუნქტისა და 24-ე მუხლის მე-10 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის საფუძველზე.
- 1.2.** წინამდებარე საკონკურსო დოკუმენტაცია შედგენილია „კონკურსის მეშვეობით საპროექტო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის პრობემისა და წესის დამტკიცების თაობაზე“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 10 თებერვლის №3 ბრძანების შესაბამისად.

2. განცხადება კონკურსის ჩატარების შესახებ

2.1. შემსყიდველი ორგანიზაცია:

- ზუგდიდის მუნიციპალიტეტი აცხადებს კონკურსს საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურების სახელმწიფო შესყიდვაზე და იწვევს კონკურსში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

2.2. შესყიდვის სავარაუდო ღირებულება

- შესყიდვის სავარაუდო ღირებულება შეადგენს **700 (შვიდასი) ლარს**.

2.3. კონკურსში მონაწილეობის სავასური

- საკონკურსო წინადადების წარდგენისთვის პირი იხდის სავასურს - 50 (ორმოცდაათი) ლარის ოდენობით. სავასური გადახდილი უნდა იქნას სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ანგარიშზე, რომელიც მითითებულია სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე (www.procurement.gov.ge).
- სავასურის გადახდის დამადასტურებელ დოკუმენტში მითითებული უნდა იყოს:
 - ა) გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის უნიკალური ნომერი და გადახდის თარიღი;
 - ბ) შემსყიდველი ორგანიზაციის დასახელება და საიდენტიფიკაციო კოდი;
 - გ) კონკურსანტის დასახელება და საიდენტიფიკაციო კოდი;
 - დ) საკონკურსო განცხადების სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნების შედეგად განცხადებისთვის მინიჭებული უნიკალური ნომერი.
- საკონკურსო წინადადება, რომელიც არ შეიცავს სავასურის გადახდის დამადასტურებელ შესაბამის დოკუმენტს, არ განიხილება. ამასთან, ზემოთ განსაზღვრული მონაცემების დარღვევით წარდგენილი სავასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის შემთხვევაში, პირის საკონკურსო წინადადება ექვემდებარება დისკვალიფიკაციას.

2.4. საკონკურსო წინადადების წარდგენის ფორმა, ადგილი და დრო

- საკონკურსო წინადადება (ერთ დახურულ კონვერტში) და სავასურის გადახდის დამადასტურებელი ქვითარი შემსყიდველი ორგანიზაციას უნდა წარედგინოს **2015 წლის 28 მაისს, 09:00 სთ-დან 15:00 სთ-მდე**, შემდეგ მისამართზე: ქ. ზუგდიდი, რუსთაველის ქუჩა №90, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული შენობა მე-3 სართული, ოთახი №15;
- საკონკურსო წინადადება ხელმოწერილ უნდა იქნეს კონკურსანტი იურიდიული პირის შემთხვევაში მისი ხელმძღვანელის მიერ, ხოლო ფიზიკური პირის შემთხვევაში, თავად მის მიერ (საჭიროების შემთხვევაში წარმოდგენილ უნდა იქნას მინდობილობა ან რწმუნებულება). ხელმოუწერილი წინადადებები არ განიხილება;
- დაგვიანებით შემოსული საკონკურსო წინადადება უარყოფილი იქნება და დაუბრუნდება კონკურსანტს გაუხსნელად.

2.5. შემსყიდველის მიერ საკონკურსო წინადადების გახსნა, შეფასება და შედარება

- საკონკურსო წინადადებები გაიხსნება **2015 წლის 28 მაისს, 15:00 საათზე**, შემდეგ მისამართზე: ქ. ზუგდიდი, რუსთაველის ქუჩა №90, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული შენობა მე-4 სართული, კონკურსანტ(ებ)ის თანდასწრებით (კონკურსანტ(ებ)ის გამოუცხადებლობა არ გამოიწვევს საკონკურსო წინადადებ(ებ)ის დისკვალიფიკაციას);
- საკონკურსო წინადადებ(ებ)ის გახსნის თარიღიდან არაუგვიანეს 5 (ხუთი) სამუშაო დღისა მოხდება კონკურსანტთა წინადადებების შერჩევა/შეფასება და გამარჯვებულის გამოვლენა;

- საკონკურსო წინადადებ(ებ)ის შეფასებას საკონკურსო კომისია განახორციელებს 10 (ათ) ბალიანი სისტემით, შემდეგი კრიტერიუმებისა და მათი პრიორიტეტულობის კოეფიციენტების საშუალებით:

№	შეფასების კრიტერიუმები	პრიორიტეტულობის კოეფიციენტები
1	ესკიზური საპროექტო წინადადება	0,6
2	საკონკურსო წინადადების ფასი	0,2
3	საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მიწოდების ვადა	0,2
		სულ: 1,0

- საკონკურსო კომისიის ყოველი წევრი ცალ-ცალკე წერილობითი ფორმით ახორციელებს თითოეული წინადადების შეფასებას, რომლის დროსაც ყოველი კრიტერიუმის მიხედვით კონკურსანტისთვის მინიჭებული ქულა მრავლდება ამ კრიტერიუმის პრიორიტეტულობის კოეფიციენტზე, ხოლო მიღებული ნამრავლების დაჯამებით გამოითვლება თითოეული საკონკურსო წინადადების ჯამური შეფასება. კომისიის წევრი აძლევს ხმას ყველა ჯამური შეფასებებიდან საუკეთესო მაჩვენებლის მქონე სატენდერო წინადადებას. საკონკურსო კომისიის წევრი თავის შეფასებაზე წერს დასკვნას და ამოწმებს ხელმოწერით;
- გამარჯვებულად გამოცხადდება ის პრეტენდენტი, რომელსაც უპირატესობას მიანიჭებს კომისიის წევრთა სიითი უმრავლესობა. იმ შემთხვევაში თუ საკონკურსო კომისიის წევრთა მიერ მიცემული ხმები თანაბრად განაწილდება კონკურსანტებზე, გადამწყვეტად ჩაითვლება კომისიის თავმჯდომარის ხმა.

2.6. კონკურსანტთან ხელშეკრულების დადება

- გამარჯვებულის გამოვლენიდან და ხელშეკრულების დადების თაობაზე მოწვევის გაგზავნიდან არაუმეტეს 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში შემსყიდველსა და გამარჯვებულ კონკურსანტს შორის დაიდება ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ.

2.7. დისკვალიფიკაცია

- შემსყიდველ ორგანიზაციას უფლება აქვს მოახდინოს შესყიდვებში მონაწილე პირის დისკვალიფიკაცია შემდეგ შემთხვევებში:
 - ა) თუ მის მიერ წარმოდგენილი საკონკურსო წინადადება არ შეესაბამება საკონკურსო დოკუმენტაციის მოთხოვნებს (გარდა იმ შემთხვევისა, როცა დოკუმენტაცია არ შეიცავს ისეთ მონაცემს ან/და შეიცავს ისეთ უზუსტობებს, რომელთა წარმოდგენა ან/და დაზუსტება არ გამოიწვევს საკონკურსო წინადადების არსებით ცვლილებას ან/და არ გაზრდის წინადადების ფასს);
 - ბ) თუ ის არ დააზუსტებს საკონკურსო წინადადებას შემსყიდველის მიერ დადგენილ ვადაში;
 - გ) თუ ის უარს აცხადებს სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების დადებაზე;
 - დ) თუ სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების დადების უფლების მოპოვების მიზნით, ჩაიდენს არაკეთილსინდისიერ ქმედებას;
 - ე) თუ საკონკურსო წინადადება არ შეიცავს საფასურის გადახდის დამადასტურებელ შესაბამის დოკუმენტს ან/და წარმოდგენილია 2.3 პუნქტის დარღვევით.

2.8. საკონკურსო პროცედურების შეწყვეტა

- საკონკურსო კომისიას უფლება აქვს, ხელშეკრულების დადებამდე ნებისმიერ დროს შეწყვიტოს შესყიდვის პროცედურა, თუ ეს აუცილებელი გახდა მისგან დამოუკიდებელი და წინასწარ გაუთვალისწინებელი ობიექტური მიზეზებით, აგრეთვე საქართველოს სახელმწიფო ან/და საზოგადოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე.
- შესყიდვის პროცედურის შეწყვეტის შემთხვევაში შემსყიდველი ორგანიზაცია არ არის ვალდებული წარუდგინოს შესყიდვის პროცედურებში მონაწილე პირებს დეტალური ინფორმაცია ან კონკრეტული მტკიცებულებანი, რის საფუძველზეც მოხდა შესყიდვის პროცედურების შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილების მიღება, ასევე აუნაზღაუროს მათ კონკურსში მონაწილეობასთან დაკავშირებული ხარჯები.

2.9. სხვა დამატებითი ინფორმაცია

- კონკურსში გამარჯვებულის მიერ ხელშეკრულების საფუძველზე შექმნილი ყველა, მათ შორი საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია წარმოადგენს ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკუთრებას;
- კონკურსანტების მიერ წარმოდგენილი ესკიზური პროექტი და სხვა დოკუმენტაცია კონკურსანტებს დაუბრუნდება კონკურსის შედეგების გამოცხადებიდან არაუგვიანეს 10 (ათი) დღის ვადაში.

3. შესყიდვის ობიექტის დასახელება და ტექნიკური დავალება

3.1. შესყიდვის ობიექტი

- შესყიდვის საგანს წარმოადგენს ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, უსახლკარო და მძიმე საცხოვრებელი პირობების მქონე პირთა საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფის პროგრამის ფარგლებში ერთი ერთთაბიანი გაბარითული ზომით - 6,4x3,4მ და ერთი სამოთახიანი გაბარითული ზომით 6,4x6,4მ საცხოვრებელი სახლების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა.
- კონკურსის მიზანია საუკეთესო არქიტექტურული კონცეფციის მქონე კონკურსანტის გამოვლენა (კონკურსის მსვლელობისას უპირატესობა მიენიჭება კონკურსანტის კრეატიულ იდეას, არასტანდარტულ და არაორდინალურ დიზაინს, რაც გულისხმობს ორიგინალურობას და პრაქტიკულობის სინთეზს);

საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია უნდა მოიცავდეს:

- განმარტებით ბარათს (სამუშაოების აღწერილობა, პროექტის არსი, სარეაბილიტაციო ობიექტის ძირითადი პარამეტრები, გამოყენებული მასალების სპეციფიკაციები, სამუშაოთა ჩამონათვალი, მოცულობები და მშენებლობის ორგანიზაციის რეკომენდაციები და ა.შ.) A4 ზომის ფორმატით, 11-იანი „Sylfaen“-ს შრიფტით, არა უმეტეს 4 ფურცლისა;
- მშენებლობის ორგანიზაციას (ძირითადი მასალების ამონაკრები, საჭირო ტექნიკის ჩამონათვალი, მშენებლობის კალენდარული გრაფიკი);
- გრაფიკულ ნაწილს (გეგმა, ესკიზური სქემა 3D ვიზუალიზაციით, განშლა, რენდერები, მინიმუმ 2 ხელი);
- შესასრულებელი სამუშაოების ხარჯთაღრიცხვას (სავარაუდო ხარჯთაღრიცხვა საქართველოში მოქმედი სამშენებლო ნორმებითა და საბაზრო ფასების გათვალისწინებით, ესკიზის შესაბამისად დამზადებული ერთი ერთთაბიანი გაბარითული ზომით - 6,4x3,4მ საცხოვრებელი სახლის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო ღირებულება არ უნდა აღემატებოდეს 12000 ლარს, ხოლო ერთი სამოთახიანი გაბარითული ზომით 6,4x6,4მ საცხოვრებელი სახლის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო ღირებულება არ უნდა აღემატებოდეს 23000 ლარს);
- მოქმედი სამშენებლო წესებითა და გავრცელებული პრაქტიკით გათვალისწინებულ სხვა აუცილებელ დოკუმენტებს ავტორის შეხედულებისამებრ.

3.2. მომსახურების გაწევის პირობები და ვადები

- კონკურსში გამარჯვებულმა შედგენილი საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მიწოდება უნდა უზრუნველყოს ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 10 (ათი) კალენდარული დღის ვადაში;
- საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მიწოდების ადგილია ქ. ზუგდიდი, რუსთაველის ქ. №90, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული შენობა.

3.3. სხვა დამატებითი მოთხოვნები:

- კონკურსში გამარჯვების შემთხვევაში საპროექტო დოკუმენტაცია შემსყიდველ ორგანიზაციას უნდა წარედგინოს დაბეჭდილად („Sylfaen“-ს, ლათინური სიმბოლოები „Arial“-ს ფონტით) სამ ეგზემპლარად და ელექტრონულ ვერსიად, კომპაქტ დისკით (PDF-ის, ხოლო ხარჯთაღრიცხვა „Excel“-ის ფორმატში);
- საპროექტო დოკუმენტაციის შედგენის ყველა ეტაპის მიმდინარეობა გამარჯვებულმა კონკურსანტმა წინასწარ უნდა შეათანხმოს შემსყიდველს (ხელშეკრულების ინსპექტირების ჯგუფს).
- შესასრულებელი სამუშაოების სახარჯთაღრიცხვო ღირებულების განსაზღვრისას კონკურსანტმა უნდა იხელმძღვანელოს „სამშენებლო სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვისას ზედნადები ხარჯებისა და გეგმიური მოგების

განსაზღვრის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2012 წლის 12 ივლისის №1-1/1463 ბრძანებით;

- გამარჯვებულმა პრეტენდენტმა შესრულებული პროექტის შესაბამისად, სამუშაოების განხორციელების პროცესში უნდა უზრუნველყოს პროექტის საავტორო ზედამხედველობა (პროექტის შესრულების კონტროლი, ობიექტის მონახულება, კონსულტაციის გაწევა, საჭიროებისამებრ საპროექტო დოკუმენტაციის კორექტირება, პროექტისა და შესრულებული სამუშაოების იდენტურობის, პროექტთან შესაბამისობის დადასტურება);
- იმ შემთხვევაში, თუ სამუშაოების შესრულების პროცესში აღმოჩნდება საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციით გათვალისწინებული დამატებითი სამუშაოების შესრულების აუცილებლობა, ამ დამატებითი საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა განხორციელდება ანაზღაურების გარეშე;

4. საკვალიფიკაციო მოთხოვნები

4.1. უფლებამოსილი ადმინისტრაციული ორგანოებიდან წარმოსადგენი საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

4.1.1. იურიდიული პირისათვის:

- საკვალიფიკაციო მოთხოვნების გარეშე.

4.1.2. ფიზიკური პირისათვის:

- საკვალიფიკაციო მოთხოვნების გარეშე.

4.1.3. როგორც იურიდიული, ასევე ფიზიკური პირებისათვის:

- საკვალიფიკაციო მოთხოვნების გარეშე.

4.2. კონკურსში მონაწილე იურიდიული და ფიზიკური პირი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს:

- საკვალიფიკაციო მოთხოვნების გარეშე.

5. საკონკურსო დოკუმენტაციის შესახებ დამატებითი ინფორმაცია

5.1. სახელმწიფო შესყიდვის განხორციელების დაფინანსების წყარო

5.1.1. ზუგდიდის მუნიციპალიტეტის 2015 წლის ბიუჯეტი.

5.2. საკონკურსო წინადადების ფასი

5.2.1. საკონკურსო წინადადების ღირებულება, წარმოდგენილი უნდა იყოს მომსახურების სრულყოფილად გაწევასთან დაკავშირებული ყველა ხარჯისა და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ყველა გადასახადის გათვალისწინებით.

5.2.2. ხარჯები, რომლებიც წინადადების ფასში არ იქნება გათვალისწინებული, არ დაექვემდებარება ანაზღაურებას.

5.2.3. საკონკურსო წინადადებაში ფასი გამოსახული უნდა იყოს ეროვნულ ვალუტაში.

5.3. ანგარიშსწორების პირობები

5.3.1. ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების წესით, ფაქტობრივად გაწეული მომსახურების გათვალისწინებით შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტის და საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის (ან კანონმდებლობით დაშვებული სხვა დოკუმენტის) წარდგენიდან 25 (ოცდახუთი) სამუშაო დღის განმავლობაში.

5.3.2. წინასწარი გადახდის მექანიზმი (ავანსი) არ გამოიყენება.

5.4. კონკურსანტის მიერ წარმოსადგენი საკონკურსო წინადადება

5.4.1. საკონკურსო წინადადება უნდა შეიცავდეს შემდეგ დოკუმენტებსა და ინფორმაციას:

- საკონკურსო წინადადების ღირებულებას (დანართი №1-ის შესაბამისად);
- მომსახურების გაწევის ვადის შესახებ ინფორმაციას (დადასტურებული და წარმდგენილ უნდა იქნეს დანართი №2-ის მხედვეთ);
- პრეტენდენტის შესახებ ინფორმაციას (დანართი №3-ის შესაბამისად);
- საპროექტო ესკიზურ წინადადებას (განმარტებითი ბარათი - A4 ზომის ფორმატით, 11-იანი „Sylfaen“-ს შრიფტით, არა უმეტეს 4 ფურცელისა, გეგმა, განშლა, ესკიზური სქემა 3D ვიზუალიზაციით, ესკიზური დეტალები და რენდერები მინიმუმ 2 ხედიით, დამატებით მასალა შესაძლებელია ავტორის შეხედულებისამებრ).

- 5.4.2. 5.4.1. პუნქტით გათვალისწინებული ყველა დოკუმენტი და ინფორმაცია წარმოადგენს საკონკურსო წინადადებას, რომელიც წარმოდგენილ უნდა იქნას დახურულ კონვერტში, კონკურსში მონაწილეობის საფასურის გადახდის დამადასტურებელ დოკუმენტთან ერთად.
- 5.4.3. კონკურსანტს უფლება არა აქვს წარმოადგინოს ალტერნატიული სატენდერო წინადადება.
- 5.4.4. საკონკურსო დოკუმენტაციის შესაბამისად მოთხოვნილი ინფორმაციის ან დოკუმენტაციის წარუდგენლობის შემთხვევაში შესაძლოა მოხდეს კონკურსი მონაწილე პირის დისკვალიფიკაცია.
- 5.4.5. კონკურსანტის სატენდერო წინადადება, აგრეთვე ამ წინადადებასთან დაკავშირებული შემსყიდველსა და კონკურსანტს შორის გაცვლილი მთელი კორესპონდენცია და დოკუმენტაცია შედგენილ უნდა იქნას ქართულ ენაზე, დოკუმენტების ან/და ინფორმაციის უცხოურ ენაზე წარდგენის შემთხვევაში მათ უნდა დაერთოს ნოტარიულად დამოწმებული ქართული თარგმანი. ამ შემთხვევაში მოცემული წინადადების ინტერპრეტაციის დროს, უცხოენოვან დოკუმენტსა და მის ქართულ ენაზე შესრულებულ თარგმანს შორის უპირატესობის მინიჭების საკითხს წყვეტს კომისია.

5.5. საკონკურსო წინადადების მომზადება და შევსების წესი

- 5.5.1. საკონკურსო წინადადების ფორმა და დანართები უნდა მომზადდეს შესაბამისი ფორმის გამოყენებით, რომელიც წარმოდგენილია წინამდებარე დოკუმენტაციით. ფორმები უნდა შეივსოს ტექსტის გადაკეთების გარეშე, თითოეული ცარიელი ადგილი უნდა შეივსოს მოთხოვნილი ინფორმაციით.
- 5.5.2. კონკურსანტის მიერ წარმოდგენილი ყველა დოკუმენტი და ინფორმაცია უნდა იყოს სათანადოდ უფლებამოსილი პირის მიერ ხელმოწერილი და ბეჭედ დასმული (საჭიროების შემთხვევაში წარმოდგენილ უნდა იქნას მინდობილობა ან რწმუნებულება).
- 5.5.3. საკონკურსო წინადადება ძალაში რჩება გამარჯვებულ კონკურსანტთან ხელშეკრულების დადებამდე.
- 5.5.4. სხვა დამატებითი ინფორმაციისა და დოკუმენტაციის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) შევსების წესი განისაზღვრება დამატებით მოთხოვნებისა და/ან შენიშვნის სახით.

6. საკონკურსო კომისიის აპარატის იმ წევრის ვინაობა და საკონტაქტო ინფორმაცია, რომელსაც უფლება აქვს გასცეს ინფორმაცია და განმარტებები შესყიდვის პროცედურების შესახებ

6.1 საკონკურსო დოკუმენტაციის შესახებ დამატებითი ინფორმაციის და შესყიდვის პროცედურების შესახებ განმარტებების მისაღებად დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირისაგან: - ბესიკ ქარდავა - საკონკურსო კომისიის აპარატის წევრი, მისამართზე: ქ. ზუგდიდი, რუსთაველის ქ. №90, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული შენობა, მე-3 სართული, ოთახი №15, საკონტაქტო ტელეფონი: +995 595 22 27 88.

**7. ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ
(პროექტი)**

წინამდებარე დოკუმენტი წარმოადგენს სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების პროექტს, რომელიც დაიდება ელექტრონული ტენდერის ჩატარების შედეგად გამარჯვებულ პრეტენდენტთან, ხელშეკრულების პირობების საბოლოო ვარიანტი შეიძლება დაზუსტდეს და დაიხვეწოს გამარჯვებული პრეტენდენტის სატენდერო წინადადების შესაბამისად.

ქ. ზუგდიდი

„.....“ „2015 წელი.

ერთის მხრივ, **ზუგდიდის მუნიციპალიტეტი** (შემდგომში „შემსყიდველი“), მისი უფლებამოსილი წარმომადგენლის, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამგებლის ედიშერ თოლორაიას სახით და მეორეს მხრივ, (შემდგომში „მიმწოდებელი“), მისი უფლებამოსილი წარმომადგენლის, სახით, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის, „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თემჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის N9 ბრძანების და „მიმწოდებლის“ სატენდერო წინადადების საფუძველზე, განხორციელებული გამარტივებული ელექტრონული ტენდერის (SPA.....) ფარგლებში ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

- 1.1 „მიმწოდებელი“ ვალდებულია კისრულობს გაუწიოს „შემსყიდველს“ ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურება, ხოლო „შემსყიდველი“ ვალდებულია კისრულობს აუნაზღაუროს „მიმწოდებელს“ გაწეული მომსახურების ღირებულება, წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.
- 1.2 ხელშეკრულების საგანია საქართველოს მთავრობის 2015 წლის 20 იანვრის №39 განკარგულების თანახმად „საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან“ ზუგდიდის მუნიციპალიტეტისათვის გამოყოფილი სახსრებით, „შემსყიდველის“ მიერ „მიმწოდებლისაგან“ მომსახურების (CPV კოდი:) შესყიდვა, წარმოდგენილი ტექნიკური დოკუმენტაციის შესაბამისად, რომელიც წარმოადგენს წინამდებარე ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

2. ხელშეკრულების ღირებულება

- 2.1 გასაწევი მომსახურების ღირებულება, მომსახურების სრულყოფილად გაწევასთან დაკავშირებული ყველა ხარჯისა და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად განსაზღვრული ყველა გადასახადის გათვალისწინებით შეადგენს (.....) ლარს.

3. მომსახურების გაწევის პირობები

- 3.1 მომსახურების გაწევა „მიმწოდებლის“ მიერ განხორციელდება ხელშეკრულების გაფორმების თარიღიდან 10 (ათი) კალენდარული დღის განმავლობაში.
- 3.2 მომსახურების გაწევის პარალელურად, „მიმწოდებელი“ ვალდებულია უზრუნველყოს თანმხლები დოკუმენტაციის წარდგენა „შემსყიდველისთვის“ (საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა ან კანონმდებლობით დაშვებული სხვა დოკუმენტი).

4. მიღება-ჩაბარების წესი

- 4.1 გაწეული მომსახურება ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.
- 4.2 ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების მიღებას ახორციელებენ „შემსყიდველისა“ და „მიმწოდებლის“ მიერ საამისოდ უფლებამოსილი წარმომადგენლები, რომლებიც მომსახურების მიღების შედეგების მიხედვით აფორმებენ შესაბამის მიღება-ჩაბარების აქტს.

5. ანგარიშსწორების ფორმა და წესი

- 5.1 ანგარიშსწორება „მიმწოდებელთან“ განხორციელდება გაწეული მომსახურების მიღების შემდეგ, უნაღლო ანგარიშსწორების სახით, „მიმწოდებლის“ საბანკო ანგარიშზე თანხის გადარიცხვის ფორმით.
- 5.2 ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღლო ანგარიშსწორების წესით, ფაქტობრივად გაწეული მომსახურების გათვალისწინებით შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტის, ექსპერტის დადებითი დასკვნისა და საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის (ან კანონმდებლობით დაშვებული სხვა დოკუმენტის) წარდგენიდან 20 (ოცი) სამუშაო დღის განმავლობაში.

6. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

6.1 „შემსყიდველი“ ვალდებულება:

6.1.1 უზრუნველყოს გაწეული მომსახურების შესაბამისი ანაზღაურების გადახდა „მიმწოდებლისათვის“, წინამდებარე ხელშეკრულების პირობათა სრული დაცვით;

6.1.2 გააფორმოს მიღება-ჩაბარების აქტი.

6.2 „შემსყიდველი“ უფლებამოსილია:

6.2.1 „მიმწოდებლისაგან“ მოითხოვოს მომსახურების გაწევა, ხელშეკრულებით დადგენილი პირობებით და განსაზღვრულ ვადაში;

6.2.2 „მიმწოდებლის“ მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობათა შეუსრულებლობის შემთხვევაში შეწყვიტოს ხელშეკრულება;

6.2.3 დაუბრკოლებლივ განახორციელოს „მიმწოდებლის“ მიერ გაწეული მომსახურების ხარისხის შემოწმება;

6.2.4 „მიმწოდებლისაგან“ მოითხოვოს გაწეული მომსახურების შესახებ დადგენილი ფორმის მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმება.

6.3 „მიმწოდებელი“ ვალდებულება:

6.3.1 ხელშეკრულებით დადგენილ ვადაში, ხელშეკრულებით დადგენილი პირობებით გასწიოს მაღალკვალიფიციური მომსახურება;

6.3.2 ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში „შემსყიდველს“ წარუდგინოს გაწეულ მომსახურებასთან დაკავშირებით ნებისმიერი სახის ინფორმაცია და დოკუმენტები;

6.3.3 საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს „შემსყიდველის“ მიერ გამოვლენილი ყველა ნაკლის აღმოფხვრა, რომელიც გამოწვეულია გაწეული მომსახურებიდან;

6.3.4 დაუყოვნებლივ აცნობოს „შემსყიდველს“ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის ან/და ხელისშემშლელ დაბრკოლებათა შესახებ;

6.3.5 ხელშეკრულების შესრულების პერიოდში სუბკონტრაქტების დადების აუცილებლობის წარმოშობის შემთხვევაში, წერილობით აცნობოს „შემსყიდველს“ შესაბამისი თანხმობის მისაღებად.

6.4 „მიმწოდებელი“ უფლებამოსილია:

6.4.1 „შემსყიდველისაგან“ მოითხოვოს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების სრულად და დროულად შესრულება.

7. უფლებების გადაცემა

7.1 მხარეებს არა აქვთ უფლება მეორე მხარესთან წერილობითი თანხმობის გარეშე მთლიანად ან ნაწილობრივ გადასცენ მესამე მხარეს ხელშეკრულებით განსაზღვრული უფლება-მოვალეობანი.

8. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვის შესაძლებლობა

8.1 წინამდებარე ხელშეკრულების პირობების, მათ შორის ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების საერთო ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები „შემსყიდველისათვის“, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

8.2 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში, დაუშვებელია თავდაპირველად დადებული ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე (ათი პროცენტი) მეტი ოდენობით გაზრდა.

9. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

9.1 ხელშეკრულების დამდებ არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება ცალმხრივად შეცვალოს ხელშეკრულების პირობები.

9.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია. ამავე დროს „შემსყიდველი“ არ არის ვალდებული წარუდგინოს მიმწოდებელს რაიმე მტკიცებულებანი იმ გარემოებებთან დაკავშირებით, რომლის გამოც წარმოიშვა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა.

9.3 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

10. შეტყობინება

- 10.1 ნებისმიერი შეტყობინება, რომელსაც ერთი მხარე, ხელშეკრულების შესაბამისად უგზავნის მეორე მხარეს, გაიგზავნება წერილის, ფაქსის ან ელექტრონული სახით, ორიგინალის შემდგომი წარმოდგენით, ხელშეკრულებაში მითითებული მეორე მხარის მისამართზე.
- 10.2 შეტყობინება შედის ძალაში ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს ან შეტყობინების ძალაში შესვლის დადგენილ დღეს, იმის მიხედვით, თუ ამ თარიღებიდან რომელი უფრო გვიან დგება.

11. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

- 11.1 ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეთა წინაშე წარმოშობილი დაბრკოლების გამო ნაკისრი ვალდებულებების ვერ ან არაჯეროვნად შესრულების საფრთხის შესახებ, მხარე ვალდებულია წერილობით აცნობოს მეორე მხარეს შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. ხოლო შეტყობინების მიმღები მხარე ასევე დაუყოვნებლივ აცნობებს თავის გადაწყვეტილებას აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.
- 11.2 იმ შემთხვევაში თუკი ხელშეკრულების პირობების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების მოქმედების ვადის გაგრძელებაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის გზით.

12. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

- 12.1 ფორს-მაჟორული პირობების გარდა, მხარეთა მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან/და დაგვიანებით შესრულება გამოიწვევს მათ პასუხისმგებლობას, მოქმედი კანონმდებლობითა და წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრული წესის შესაბამისად.
- 12.2 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ვადების გადაცდენის შემთხვევაში ყოველი დაგვიანებული დღისათვის „მიმწოდებელს“ ეკისრება პირგასამტეხლო, ხელშეკრულების საერთო ღირებულების 0,5%-ის ოდენობით, რომლის გადახდა უნდა მოხდეს „შემსყიდველის“ წერილობითი მოთხოვნის მიღებიდან 20 (ოცი) სამუშაო დღის განმავლობაში.
- 12.3 იმ შემთხვევაში, თუ ვადების გადაცდენისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 10%-ს, „შემსყიდველს“ უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება.
- 12.4 „შემსყიდველი“ უფლებას იტოვებს მოახდინოს პირგასამტეხლოს გამოქვითვა „მიმწოდებლისათვის“ ასანაზღაურებელი თანხიდან.
- 12.5 პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს „მიმწოდებელს“ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისაგან.
- 12.6 პასუხისმგებლობის სხვა ფორმები, რაც არ არის გათვალისწინებული ამ ხელშეკრულებაში, განისაზღვრება მოქმედი კანონმდებლობით.

13. ხელშეკრულების მოქმედების შეწყვეტა

- 13.1 ხელშეკრულების დამდები მხარის მიერ ნაკისრ ვალდებულებათა შეურულებლობის გამო მეორე მხარე, უფლებამოსილია ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულების სრული ან ცალკეული პირობების მოქმედება.
- 13.2 ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ მხარეს ეცნობება წერილობით ხელშეკრულების (ან მისი ნაწილის) შეწყვეტამდე 5 (ხუთი) სამუშაო დღით ადრე მაინც, ამასთან, უნდა მიეთითოს მიღებული გადაწყვეტილების საფუძველი და მისი ამოქმედების თარიღი.
- 13.3 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა, არ ათავისუფლებს მხარეებს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.
- 13.4 მხარეთა შორის გაფორმებული საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტი წარმოადგენს ხელშეკრულების მოქმედების შეწყვეტის საფუძველს.

14. ფორს-მაჟორი

- 14.1 მხარეები არ არიან პასუხისმგებელი თავიანთი ვალდებულებების სრულ ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ისეთი გარემოებებით, როგორცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე ომები და სხვა საომარი მოქმედებები, თუ ისინი უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე. ხელშეკრულების შესრულების ვადა გადაიწვეს შესაბამისი დროით, გარემოებათა დასრულების შემდეგ.
- 14.2 თუ სახელშეკრულებო ვალდებულებების მთლიანი ან ნაწილობრივი შეუსრულებლობის პირობები გაგრძელდება სამ თვეზე მეტ ხანს, მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულების მოქმედება, კომპენსაციის უფლების მოთხოვნის გარეშე.
- 14.3 მხარეს, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება დაუყოვნებლივ აცნობებს ამის შესახებ მეორე მხარეს.

15. დავების გადაწყვეტის წესი

15.1 ხელშეკრულების შესრულებისას მხარეთა შორის წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეები მიმართავენ სასამართლოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

16. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები

- 16.1** „შემსყიდველს“ ან მის წარმომადგენელს უფლება აქვთ ხელშეკრულების ნებისმიერ ეტაპზე განახორციელონ კონტროლი „მიმწოდებლის“ მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე.
- 16.2** ხელშეკრულების კონტროლს ახორციელებს „შემსყიდველის“ მიერ გამოყოფილი სპეციალური ინსპექტირების ჯგუფი, შემდეგი შემადგენლობით:
- 16.3** ინსპექტირება განხორციელდება წარმოქმნილი საჭიროებიდან გამომდინარე.
- 16.4** „შემსყიდველის“ მიერ გამოყოფილი ინსპექტირების ჯგუფი უფლებამოსილია განახორციელოს გაწეული ან/და გასაწევი მომსახურების მოცულობის, ხარისხისა და მიწოდების ვადების კონტროლი.
- 16.5** „მიმწოდებელი“ ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს კონტროლის (ინსპექტირების) შედეგად გამოვლენილი ხარვეზის ან ნაკლის აღმოფხვრა.
- 16.6** „მიმწოდებელი“ ვალდებულია მომსახურების განხორციელების დროს ინსპექტირების ჯგუფს შემოწმების პროცესში აღმოუჩინოს ხელშეწყობა, არ შეუქმნას ხელისშემშლელი პირობები და წარუდგინოს მომსახურების გაწვასთან დაკავშირებით ნებისმიერი სახის ინფორმაცია და დოკუმენტები.
- 16.7** „მიმწოდებელი“ ვალდებულია საკუთარი რესურსებით უზრუნველყოს „შემსყიდველი“ კონტროლის (ინსპექტირების) ჩატარებისათვის აუცილებელი პერსონალით, ტექნიკური საშუალებებით და სხვა სამუშაო პირობებით.

17. დასკვნითი დებულებანი

- 17.1** მხარეები ხელმძღვანელობენ ურთიერთპატივისცემის პრინციპით და თანამშრომლობის გაღრმავების სურვილით.
- 17.2** მხარეები ვალდებულნი არიან გაუფრთხილდნენ თითოეულის სახელს, საქმიან რეპუტაციას და ღირსებას, დაიცვან ერთობლივი საქმიანობის შედეგად მათთვის ცნობილი მეორე მხარის კონფიდენციალური ინფორმაცია.
- 17.3** ხელშეკრულების მხარეებს არა აქვთ უფლება გააკეთონ განცხადება მეორე მხარის მიერ ხელშეკრულების ვერ ან არ შესრულების, მისი შესრულებისას დარღვევების შესახებ და ა.შ. თუ წინასწარ არ მოხდება შესაბამისი საკითხის ერთობლივი შესწავლა და შესაბამისი ფაქტების დადასტურება.
- 17.4** ხელშეკრულების დებულებებში ცვლილებების ან დამატებების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ მხარეთა შორის შეთანხმების წერილობითი გაფორმების შედეგად.
- 17.5** ხელშეკრულება ძალაში შედის მისი ხელმოწერის მომენტიდან და მოქმედებს 2015-მდე.
- 17.6** წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილია 3 (სამი) თანაბარუფლებიანი ძალის მქონე ეგზემპლარად, 2 (ორი) ეგზემპლარი ინახება „შემსყიდველთან“, ხოლო 1 (ერთი) ეგზემპლარი გადაეცემა „მიმწოდებელს“.

18. მხარეთა მისამართები, საბანკო რეკვიზიტები და ხელმოწერები

„შემსყიდველი“

„მიმწოდებელი“

8. კონკურსანტის მიერ საკონკურსო წინადადების სახით წარმოსადგენი დოკუმენტაცია

დანართი №1

საკონკურსო წინადადების ფასი

პრეტენდენტის დასახელება: _____

№	გასაწევი მომსახურების დასახელება	მომსახურების ღირებულება (ლარი)
1	2	3
1	ერთი ერთოთახიანი გაბარიტული ზომით - 6,4x3,4მ და ერთი სამოთახიანი გაბარიტული ზომით 6,4x6,4მ საცხოვრებელი სახლების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურება	
	<i>სულ ჯამი:</i>	

პრეტენდენტის ხელმოწერა _____

(ხელმოწერის თანამდებობა, სახელი, გვარი)

მომსახურების გაწევის ვადები

პრეტენდენტის დასახელება: _____

საკონკურსო დოკუმენტაციის თანახმად საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მიწოდება განხორციელდება ხელშეკრულების გაფორმებიდან (.....) კალენდარული დღის ვადაში.

პრეტენდენტის ხელმოწერა _____

(ხელმოწერის თანამდებობა, სახელი, გვარი)

შენიშვნა: კონკურსში გამარჯვებულმა შედგენილი საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მიწოდება უნდა უზრუნველყოს ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 10 (ათი) კალენდარული დღის ვადაში.

ინფორმაცია პრეტენდენტის შესახებ

<p>პრეტენდენტის (ფიზიკური და იურიდიული პირის) სახელწოდება/დასახელება და საიდენტიფიკაციო კოდი (ფიზიკური პირის შემთხვევაში პირადი ნომერი):</p>	
<p>პრეტენდენტის იურიდიული და ფაქტიური მისამართი:</p>	
<p>დაფუძნების წელი ან/და სახელმწიფო რეგისტრაციის თარიღი:</p>	
<p>მომსახურე ბანკის დასახელება, ბანკის კოდი და ანგარიშსწორების ანგარიში:</p>	
<p>პრეტენდენტის უფლებამოსილი წარმომადგენელი (სახელი, გვარი, მისამართი, ოფისის ტელეფონის ნომერი, მობილური, ელ. ფოსტის მისამართი):</p>	

პრეტენდენტის ხელმოწერა _____

(ხელმოწერის თანამდებობა, სახელი, გვარი)